საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ბორდოს ასული არველაძე

# აკაკი წერეთლის "პატარა კახის" შემოქმედებითი ისტორია

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი – 1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნორა კობინეძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ექსპერტი: მანანა კაკაბაძე, - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ოფიციალური ოპონენტები:

1. ჯონდო ბარდაველიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2. ვლადიმერ მინაშვილი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "27" "ოქტომბერს" "14"-სთ-ზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს /P.10.01.CЖ/ სხდომაზე.

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

მისამართი: თბილისი, 380008, კოსტავას ქ. № 5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის "27" "სექტემბერს"

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი /ა.არაბული/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

-174-

თემის აქტუალობა: მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი თითოეული ნაწარმოების შექმნის ისტორიას, რაც მეცნიერული ტექსტოლოგიისათვის ამოსავალია. ნაწარმოების დაწერის განვითარების გზა მკვლევარს საშუალებას აძლევს მთელი თავისი აზროვნების კონცენტრაცია მოახდინოს, რათა მწერლის შემოქმედების განვითარების ეტაპებს გაუკეთოს მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი და ასე, მყარ ნიადაგს დაყრდნობილი, წარმოაჩინოს ნაწარმოების შექმნის მთელი სურათი, მისი ისტორია. ეს არის ყველაზე აქტუალური პრობლემა მეცნიერულ ტექსტოლოგიაში, რაც სავსებით ესადაგება აკაკის პოემა "პატარა კახის" შექმნის ისტორიას. ნაშრომში მოცემულია ცდა მეცნიერული ანალიზის გზით წარმოჩენილ იქნას პოემის შექმნის სრული ისტორია.

კვლევის მიზანი: სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია, წარმოჩინდეს ის შემოქმედებითი ეტაპები, რაც დრამატულმა პოემამ "პატარა კახმა" გაიარა; ნაჩვენები იქნას ის ლიტერატურული, ისტორიული და ფოლკლორული წყაროები, რომლებიც საფუძვლად დაედო პოემას; გამოიკვეთოს შემოქმედებითი გზა, რომელიც პოემამ განვლო სრულყოფილი სახის მიღებამდე.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ნაშრომის მიზანია დაწვრილებით იქნას შესწავლილი თხზულების პროზაული და პოეტური რედაქციები. მეცნიერულ-ტექსტოლოგიური ანალიზის საფუძველზე დამტკიცდეს მათი ურთიერთმიმართება და რა ძირეული ცვლილებები - კომპოზიციური, სიუჟეტური, ტექსტობრივი, ჟანრობრივი, სტილისტური თუ იდეური ხასიათისა - განიცადა ნაწარმოებმა განვითარების ამ ეტაპზე.

ნაშრომის სიახლე: ნაშრომის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მასში დაწვრილებით პირველად განიხილება პოემა "პატარა კახის" შემოქმედებითი ისტორია და პირველად ხდება ამ პოემის შექმნისა და განვითარების მონოგრაფიული გამოკვლევა. ასევე, პირველად შეისწავლება ფოლკლორული და ისტორიული წყაროები ტექსტოლოგიური თვალსაზრისით.